თელავის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

N 425
29/03/2019

425-08-4-201903291646

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, 86^1-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას თელავის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ა) შოთა ნარეკლიშვილი - თელავის მუნიციპალიტეტის მერი - საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) ნათია ქარჩაიძე - საქართველოს ბანკის რეგიონალური მენეჯერი - საბჭოს წევრი;

გ) ნანა ათუაშვილი - ორგანიზაცია ,,World Vision” კახეთის სამხარეო განვითარების პროგრამის მენეჯერი - საბჭოს წევრი;

დ) ნინო პაატაშვილი - საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციის წარმომადგენელი - საბჭოს წევრი;

ე) თენგიზ კუკუნაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი - საბჭოს წევრი;

ვ) კონსტანტინე დოლიძე - ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი ,,პრესტიჟის“ დირექტორი - საბჭოს წევრი;

ზ) ნიკოლოზ შარვაშიძე - აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის რეგიონალური კოორდინატორი - საბჭოს წევრი;
თ) ასმათ ღვინიაშვილი - ორგანიზაცია ,,World Vision"-ის სოციალური მუშაკი - საბჭოს წევრი;
ი) სოფიკო ტაბატაძე - კოოპერატივი „თაფლიანის " ხელმძღვანელი- საბჭოს წევრი;
კ) დავით ღონღაძე - საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის" თელავის ოფისის დირექტორი - საბჭოს წევრი;
ლ) ნინო შამანაური - საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის" თელავის ოფისის სოციალური მუშაკი - საბჭოს წევრი;
მ) ნინო აფციაური - თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - საბჭოს წევრი;
ნ) ნინო ჭიჭიკოშვილი - თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - საბჭოს წევრი.

2. დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება დანართის შესაბამისად.

3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული დებულებით.

4. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს თელავის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N41).

შოთა ნარეკლიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი

თელავის მუნიციპალიტეტის მერია